№ 3 იანვარი 5, ხუთშაბათი 1889 იანვარი 5, ხუთშაბათი № 3

გაზეთი ღირს

თვე	მან.	ჯ.	თვე	მან.	ჯ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თბილისში ფერეიდანის ქუჩა, პასტამოიის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურთა ბანკის სახლში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1889

„ივერია"

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ფერეიდანის ქუჩა, სახლი პასტამოიისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარაფასლის გალერეაში)

ქუთაისში: ეარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისს გარდ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის აღრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უახლესნელს გვერდზედ.

შარასკევს, იანვრის 6-ს 1889 წ.

ტფილისის ქრუშოკის დარბაზში

დანიშნულია

ბალი

ტფილისს სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ.

ბადი დაიწყება საღამოს 9 სათზედ.

ფასი ბილეთისა 2 მანეთი.

ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოჭრილი კაბებითაც მოვიდენ.

ბილეთები ისყიდება „ეროუოკის" შეიცარეთან.

ტფილისი, 4 იანვარი

ამ უკანასკნელს დროს სერბიასა და ბოლგარიაში ბევრი რამ საგულისხმო და საყურადღებო ამბავი მოხდა. ამ ორის სახელმწიფოს მდგომარეობა დიდი ხანია აწეწილ-დაწეწილი იყო და მუდამ დღე ელოდებოდნენ დიდს განხეთქილებას ერსა და მართებლობას შორის. სერბიაში მეტის-მეტი აუაღიმაყალი და უსიამოვნება ასტეხა მეფისა და დედოფლის განქორწინების საქმემ. მთელი სერბია ორ ბანაკად გაიყო: ერთი მეფეს უშერდა მხარს და მეორე—დედოფალს. უცხო სახელმწიფონიც გაიყვნენ ორ ბანაკად. ერთი ესარჩლებოდა მილანის პოლიტიკასა და საქციელს, ხოლო მეორე—დედოფალსას. ერთის სიტყვით, სახელმწიფოს შინაური მდგომარეობა მეტად ვაძნეკებული და საეშვო იყო. საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ მოსალოდნელი იყო, მეფე მილანი სრულიად გაიფუშტებდა სახელს და ამით შეარყევდა თავისს მართებლობას, და რძის ნდომას იმითი ეიკლე. უპატრონო რომ ვარ, სულ მეშინიან, ეკანკალებ, მუდამ დღე სიკედილს ველი, ბზა-არეული დავეხეტები... ღმერთო, რამდენი მტერი გეყოს!

წელან ველის პირად გავედი დაღონებული... იქით-აქეთ თვალს ვაელებდი. უცებ ჩემს თავზედ ჭექა გაისმა. ავიხედე მაღლა: მხრეს-შეკუმშული, ნისკარტ-დაღებული, უზარმაზარი ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ. მე, შეშინებული, ტყეში გადავეხტი. წამოვიდა ის წყეული ფრინველი, ტანი ველარ შეიმაგრა და ჩემს ნადგომ ადგილს დაეცა. ერუანტელი მიელის, როდესაც იმისი მოკაკული ნისკარტი და ალმასივით ბრჭყალები მაგონდება. პირდაპირ მოვიდა და, იქ რომ არ დავხედი, ბალახებზედა და მაყვალოვანზედ მხრებით ტყლაშენი გაადინა. მიაელ-მოაელო საზარელი ყვითელი თვალები, ეწყინა ჩემი გაქცევა, აიწია, ძლიეს განთავისუფლდა, კინაღამ მაყვლებში ჩაება. მე ერთს ხეს ეფაკრე და იქიდამ გულის ფანცქალით ცალის თვალით გაეყურებდი.

გენაცვალე ტყეო! შენ ბევრს მშველი, თორემ აქამდის ჩემის ქათიბის ბეწვიც არ იქნებოდა! გული მეუბნება, რომ მტრის მსხვერპლად გავხდები. ჯერ მე გამოუცდელი ვარ, მხოლოდ ერთი კერია ვიყავი დედასთან. ის მასწავლიდა, ვინ იყო ჩემი მტერი და ვინ მოკეთე. ეხლა ვინ-ღა მასწავლის? სულ შამბში ეწვები, ეიმალები, მუმლისა და კოლოტებისაგან მოსეენება აღარა მაქვს. დედასთან კარგად ეცხოვრებდი, თავისუფლად ვსუნთქავდი...

მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილია და აქეთ იქით ხეებში ჩაუდის, იქ ეცხოვრებდით, მუდამ დაჩრდილული გაბურულის ტყით; უხვედრი იყო ჩვენი ბინა. დედაჩემი დაწვებოდა ხოლმე გორაკზე მე გვერდით მოვუწვებოდი. სამეფე მზრდამ ხეები გვეუბარა,—მეოთხეს თითონ გაიყოფებოდა. ხანდახან ყურებს დაიკქეფდა, მე შეეყურებდი და ვბაძავდი იმის ქცევას, ჩემს პატარა ყურებსაც აეცქეფდი. სამჯერ უჩვეულებრივი ხმაურობა შემოგვესმა: ის არა ჰგვანდა არც წყლის ჩქრიალს, რომელიც მუდამ მესმის, არც შაშვის ფაჩუნს, არც კოდალას რაკუნს, არც კიდე ხმელის ხის წვერიდამ ჩამოყარდნილ ტოტის რახუნს და არც ნიავისაგან გაშრაალებულ ფოთლების ხმას... ეს შევნიშნე მე. რა წამს ამ საუცხოო ხმას გაიგონებდა დედაჩემი, ზე წამოვარდებოდა და მეტყოდა: „შეილო! მომყე, მე მომყეო!..." გაიქცეოდა და მეც მიეხტოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, არ ეიცოდი და არც მესმოდა, თუ ვის უურთხოდა. ეხლა-კი ვიცი... ოჰ, რამდენი მტერი გეყოს! ოჰ, ადამიანო!.. რატომ არ გებრალები მე პატარა, რატომ არ მაძლევ თავისუფლებას, რომ გულ-დასვენებული თავისუფლად ვიარო, ვთელო ლამაზი მწვანე ბალახი, გადავდე სერზედ და დავსტკბე საღამოს ნიავის სიოთი?

ვერ გავცილებივარ ტყეს: თუ გავედი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვსცილდე,—მაშინაც ნახევარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ-იქით უნდა ვიყურო, ვეუარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და კანკალით ეკამო სკამელი, შიშისაგან ზეზეურად უნდა დავდნე!.. რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამიობლე?! ოჰ, ადამიანებო! თქვენს ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვსთ... არა ჰგრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა ჰგრძნობთ თქვენს შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულ-განაბული ეგრე ყურ!..." გაიქცეოდა და მეც მიეხტოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, არ ეიცოდი და არც მესმოდა, თუ ვის უურთხოდა. ეხლა-კი ვიცი... ოჰ, რამდენი მტერი გეყოს! ოჰ, ადამიანო!.. რატომ არ გებრალები მე პატარა, რატომ არ მაძლევ თავისუფლებას, რომ გულ-დასვენებული თავისუფლად ვიარო, ვთელო ლამაზი მწვანე ბალახი, გადავდე სერზედ და დავსტკბე საღამოს ნიავის სიოთი?

ვერ გავცილებივარ ტყეს: თუ გავედი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვსცილდე,—მაშინაც ნახევარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ-იქით უნდა ვიყურო, ვეუარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და კანკალით ეკამო სკამელი, შიშისაგან ზეზეურად უნდა დავდნე!.. რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამიობლე?! ოჰ, ადამიანებო! თქვენს ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვსთ... არა ჰგრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა ჰგრძნობთ თქვენს შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულ-განაბული ეგრე

ბზრიალ ყურს ეუდგებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა... შენ-კი, ოჰ, ადამიანო!.. თვალებ-დასისხლიანებული, დაფაციცებული დამეძებ მე და ჩემს ფერს სუსტსა და უპატრონოს ათასს სხვას... იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუხთალად გვკრავ ტყეიას და გამოგვასალმებ წუთი-სოფელს...

II

როგორ არ უნდა მეშინოდეს?.. ჯერ მე სულ ერთი კერაა, რაც წუთი-სოფელს ვხედავ, და რამდენი შიში და ეიმა გამოვიარე! გუშინ-წინ წვიმიანი დღე იყო. სიცოცხლითა და სიმშვენიერით აღსავსე დედაჩემი წიფლის გვერდზედ იდგა და გემრიელად იცოხნებოდა... მეც გვერდით ვუდექი, მიხაროდა დედასთან დგომა, მტერი და სიკედილი არც-კი მაგონდებოდა დედის იმედით. ხმირის ფოთლებიდამ წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა... მე თავს ვუშვერდი, რომ სასიამოვნო წვეთებს გაეეგრილებინე.

— არ გიამა, შვილო? მკითხავდა დედა.

მე თავს ვუქნევდი და ვხტოდი, ხან ძუძუებში ვბურნდიდი.

ჩვენს წინ ერთ ხმელ ხეს გარეშემო კოდალა ეელებოდა და ისე მაგ-

*** 3 იანვარს „გუბერსკი პრაველენიის" სადგურში ხელ-ახლად იყო კრება კომიტეტისა, რომელსაც მინდობილი აქვს გააწეროს საადგილ-მამულო გადასახადი მიწათ-მფლობელთა. ამ კრებაზე მოწვეულ იყვნენ ყველა მაზრის უფროსები. რადგანაც წინანდელი სია მამულების რაოდენობისა შეცდომებისა გამო შეწყნარებულ არ იქმნა, ამიტომაც კრებამ დაადგინა შესდგეს ახალი სია და ყოველი მაზრა მამულების სიკეთის კეალობაზედ ფარდებად იქმნას დაყოფილი. ამისთვის მაზრის უფროსებს დაეალათ, რომ შეადგინონ თავთავის მაზრაში კომისია, ამ კომისიაში მიიწვიონ მომრიგებელი შუა-კაცი, მაზრის მარშალი, მიწათ მფლობელობის მცოდნე კაცები, დაჰყონ მაზრა ფარდებად მამულების სიკეთის კეალობაზედ, შეადგინონ სიები ეის რამდენი მამული აქვს და რომელს ფარდში და ეს შედგენილი სიები წარმოდგენილ იქმნას არა უგვიანეს პირველის თებერვლისა.

ჩვენ კიდეე ეურჩევთ ჩვენს მემამულეებს, რომ თითონ მიიღონ მონაწილეობა ამ სიების შედგენაში, თითონვე აცნობონ ეის და სად რამოდენი მამული აქვს, თორემ ბევრს გაუბდება მერე სანანურად და გვიანლა იქნება, რადგანაც შესაძლოა ამ კომისიებმა ან მეტი აჩვენონ, ან ნაკლები და ორსავ შემთხვევაში მემამულე დაზიანდება.

*** პარასკევს, ამ თთვის ექვსს,

ახალი ამბავი

*** 3 იანვარს „გუბერსკი პრაველენიის" სადგურში ხელ-ახლად იყო კრება კომიტეტისა, რომელსაც მინდობილი აქვს გააწეროს საადგილ-მამულო გადასახადი მიწათ-მფლობელთა. ამ კრებაზე მოწვეულ იყვნენ ყველა მაზრის უფროსები. რადგანაც წინანდელი სია მამულების რაოდენობისა შეცდომებისა გამო შეწყნარებულ არ იქმნა, ამიტომაც კრებამ დაადგინა შესდგეს ახალი სია და ყოველი მაზრა მამულების სიკეთის კეალობაზედ ფარდებად იქმნას დაყოფილი. ამისთვის მაზრის უფროსებს დაეალათ, რომ შეადგინონ თავთავის მაზრაში კომისია, ამ კომისიაში მიიწვიონ მომრიგებელი შუა-კაცი, მაზრის მარშალი, მიწათ მფლობელობის მცოდნე კაცები, დაჰყონ მაზრა ფარდებად მამულების სიკეთის კეალობაზედ, შეადგინონ სიები ეის რამდენი მამული აქვს და რომელს ფარდში და ეს შედგენილი სიები წარმოდგენილ იქმნას არა უგვიანეს პირველის თებერვლისა.

ჩვენ კიდეე ეურჩევთ ჩვენს მემამულეებს, რომ თითონ მიიღონ მონაწილეობა ამ სიების შედგენაში, თითონვე აცნობონ ეის და სად რამოდენი მამული აქვს, თორემ ბევრს გაუბდება მერე სანანურად და გვიანლა იქნება, რადგანაც შესაძლოა ამ კომისიებმა ან მეტი აჩვენონ, ან ნაკლები და ორსავ შემთხვევაში მემამულე დაზიანდება.

*** პარასკევს, ამ თთვის ექვსს,

ფელეტონი

მშელის ნუკრის ნაამბობი *)

(პატარა მოთხრობა)

I

პაწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დაეობლდი; ტანზედ მაცვია პატარა მოკლე ბეწვიანი, თეთრის თვლებით მოწნწყლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია.

ბზა-დაკარგული დავდიეარ. აი დახედეთ ჩემს სისხლიანს ფეხსა,—ეს წყლის დასალევად რომ ჩავედი ხეში, მაშინ ეიტკინე... გული მიწუხს... გული... საბრალო დედაჩემი! მანამ დედა მყავდა ცოცხალი, სულ ალერსში ეყვანდი: ძუძუს მაწოვებდა, მიალერსებდა, მაფრთხილებდა. რაღა მეშველება მე საბრალოს ეხლა! ძუძუს აღარა ეწოე, მხოლოდ ბალახის ნამსა ესუტაე ფილით და საღამოთი, როდესაც ნამია, ბი. ჯერ მე გამოუცდელი ვარ, მხოლოდ ერთი კერია ვიყავი დედასთან. ის მასწავლიდა, ვინ იყო ჩემი მტერი და ვინ მოკეთე. ეხლა ვინ-ღა მასწავლის? სულ შამბში ეწვები, ეიმალები, მუმლისა და კოლოტებისაგან მოსეენება აღარა მაქვს. დედასთან კარგად ეცხოვრებდი, თავისუფლად ვსუნთქავდი...

მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილია და აქეთ იქით ხეებში ჩაუდის, იქ ეცხოვრებდით, მუდამ დაჩრდილული გაბურულის ტყით; უხვედრი იყო ჩვენი ბინა. დედაჩემი დაწვებოდა ხოლმე გორაკზე მე გვერდით მოვუწვებოდი. სამეფე მზრდამ ხეები გვეუბარა,—მეოთხეს თითონ გაიყოფებოდა. ხანდახან ყურებს დაიკქეფდა, მე შეეყურებდი და ვბაძავდი იმის ქცევას, ჩემს პატარა ყურებსაც აეცქეფდი. სამჯერ უჩვეულებრივი ხმაურობა შემოგვესმა: ის არა ჰგვანდა არც წყლის ჩქრიალს, რომელიც მუდამ მესმის, არც შაშვის ფაჩუნს, არც კოდალას რაკუნს, არც კიდე ხმელის ხის წვერიდამ ჩამოყარდნილ ტოტის რახუნს და არც ნიავისაგან გაშრაალებულ ფოთლების ხმას... ეს შევნიშნე მე. რა წამს ამ საუცხოო ხმას გაიგონებდა დედაჩემი, ზე წამოვარდებოდა და მეტყოდა: „შვილო! მომყე, მე მომ-

*) ამ პატარა მოთხრობის პირველი და მეორე თავი „ურნალს „ნობათში" დაიბეჭდა 1885 წელს. ჩვენ ახლა სრულად ვბეჭდავთ ამ მოთხრობას.

რედ.

ტფილისის კრუჟოკის დარბაზში გამართული იქნება ბალი ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ. ბალი ამ აზრით ყოველს წელიწადს იმართება, საზოგადოებაც თანაგრძნობით ეკიდება სათავად-აზნაურო სასწავლებელსა და ბალზე დიდ-ძალი ხალხი ესწრება. ეს გარემოება იმისი საბუთია, რომ საზოგადოება წელსაც უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ ბალს.

*** წელს, ამ ორიოდე თთვის შემდეგ, სრულდება ათი წელიწადი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მოღვაწეობისა. ამ ხნის განმავლობაში ხსენებულმა საზოგადოებამ დიდი ღვაწლი დასდო ქართველთათვის: რამდენიმე ქართული სკოლა გამართა და დააარსა ძველის ქართულის ხელ-ნაწერებისა და წიგნების საცავი, სადაც დღეს მრავალი ძვირფასი და იშვიათი მასალაა მოგროვილი ჩვენის წარსულის ცხოვრებისა და მწერლობისა. ეს ათი წელიწადი დიდი ხანი არ არის, მაგრამ ამ დროს განმავლობაში, როგორც ვსთქვით, „საზოგადოებამ“ საკმაოდ თავი იჩინა, ასე რომ ქართველთა საზოგადოება კარგს იზამს ჯეროვანად იდღესასწაულოს ათის წლის მოღვაწეობა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და ნივთიერი შემწეობა და დახმარება აღმოუჩინოს. ამ ერთის წლის წინად „ივერიამ“ ვრცელი წერილი უძღვნა ამ საგანს და იმედია მკითხველი საზოგადოება გაიხსენებს ამ წერილს. ამ წერილის აზრი ის იყო, რომ დღეობის გადახდა აუცილებლად საჭიროა, რათა ქართველობამ დაინახოს „წერა-კითხვის საზოგადოების“ მოღვაწეობა, ჯეროვანად დააფასოს იგი და თანაგრძნობა აღმოუჩინოს იმ ქართველთ, რომელთაც დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვით „წერა-კითხვის საზოგადოების“ წინაშე. უმთავრესი სამსახური ამ საზოგადოებისა ის არის, რომ მან გამართა წიგნთ-საცავი. ეს წიგნთ-საცავი, რომელიც ხელის-ხელ საგოგმანებელი საგანია მთელის ქართველობისათვის, დღეს მოკლებულია შესაფერს სადგურს. კარგი იქნება შეძლებულმა და განათლებულმა ქართველობამ «წერა-კითხვის საზოგადოების» ათის წლის დღეობა აღბეჭდოს კეთილის საქმით და ამ წიგნთ-საცავს მუდმივი და შესაფერი სადგომი აღმოუჩინოს. ამისათვის საჭიროა შეძლებულმა ქართველობამ არ დაიშუროს თავისი წვლილი და ამით შეძლება მისცეს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ თავისი საკუთარი სახლი იქონიოს. ამითი ქართველობა ჯეროვანად დააფასებს „წერა-კითხვის საზოგადოების“ მოღვაწეობასა და ხელს მოუმართავს ამ საშვილიშვილო დაწესებულებას.

*** მეტეხის ციხის პატიმართ სასარგებლოდ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ეგზარხოსმა პალლადიმ, შესწირა 200 ცალი პატარა წიგნაკი რუსულსა და ქართულს ენაზე, 80 ცალი ჯვარი ყელზე დასაკიდებლად და აგრეთვე ფულიც პატიმართა მდგომარეობის განსაკარგებლად. მეტეხის ციხის პატიმარნი ამ გვარის მაღალის ყურადღებისა და თანაგრძნობისათვის გულითადს მადლობას უძღვნიან მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას.

*** **სოფ. ნოსირი** (სამეგრელო): უკაცრავად მკითხველთან, რომ სამეგრელოდგან თუ არ ქურდობისა და ავაზაკობის ამბავი, იშვიათად გვაქვს რამე მოსაწყრი, ჩვენს სოფელში კარგა ხანია, რაც არავითარი ავ-კაცობა არ მომხდარა და მხოლოდ წარსულს კვირაში შევესწარით ერთს ავაზაკობას. რამდენიმე ავაზაკი დაეცა თავ. ივანე დადიანის წისქვილს და კეტებით სულ ერთიანად თავი დაულეწეს საბრალო მეწისქვილეს. შიგ წისქვილში მყოფთა შიშისაგან ხმა გაიკმინდეს. ავაზაკებმა რომ ვერა იპოვნეს-რა წისქვილში, ხელი წაავლეს ვაცს, რომელიც იქვე ება გასასუქებლად, და წაიყვანეს. ამ ერთმა ვაცმა თქვენი ჭირი წაიღო.

უცხოეთი

გერმანია. პროფესორი გეფკენი, რომელმაც დაჰბეჭდა გერმანულს ჟურნალ „Deutsche Rundschau“-ს ოქტომბრის წიგნში დღიური იმპერატორის ფრიდრიხისა, აქამდე დაპატიმრებული იყო, რადგან ამ პროფესორს ბრალი დაედო, რომ შენ მაგ დღიურის დაბეჭდვით გამოაქვეყნე ისეთი ამბები, რომელიც სახელმწიფოს საიდუმლოა და იმისი გამოქვეყნება მავნებელია იმპერიისათვისაო. ეს პროფესორი დღეს უკვე განთავისუფლა ლეიპციჲის სასამართლომ. პროფესორის გეფკენის დასჯა უფრო ბისმარკმა მოინდომა, მაგრამ ეტყობა იმისი სურვილი სასამართლომ არ შეიწყნარა და განთავისუფლა ტყუილ-უბრალოდ თავისუფლებას მოკლებული კაცი.

როცა ფრიდრიხ მე-III დღიური დაიბეჭდა, ბისმარკმა მაშინათვე იტკიცა ეს ამბავი. კანცლერმა მოხსენება წარუდგინა იმპერატორს ვილჰელმ მე-II და ამ მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ ეგ დღიური ტყუილი, განგებ მოხერხებულიაო, მაგისთანებს განსვენებული იმპერატორი ვერ დასწერდა, რადგანაც არ იყო ჩახედებული იმ საქმეებში, რასაც ეგ დღიური შეეხებაო. მაშინ ფრიდრიხი მემკვიდრე პრინცი იყო, დიდი თანამგრძნობელი ინგლისისა, ალტაცებული კაცი და სახელმწიფოს საიდუმლოებას არ ვანდობდითო. ერთის სიტყვით, ბისმარკმა თითქმის მოღალატედ გამოიყვანა ფრიდრიხ მე-III თავისს მოხსენებაში და ამ სახით დიდად შეურაცხჰყო ხსენება დღევანდელის იმპერატორის მამისა. შემდეგმა გარემოებამ ცხადად დაამტკიცა, რომ დღიური ნამდვილად ფრიდრიხის დაწერილი იყო, მაგრამ ბისმარკი მაინც არ გატყდა და სხვაფრივ სცდილობდა დაემტკიცებინა სიყალბე დღიურისა. ბისმარკის ჩაგონებით „Kölnische Zeitung“-მა ჯერ ხმა გაავრცელა, რომ სერ რობერტ მორიერმა საფრანგეთისა და გერმანიის ომის დროს აცნობა მარშალს ბაზენს, სადაც იდგა გერმანიის ჯარიო. მერე წერილიც დაბეჭდა ამ გვარისავე შინაარსისა. ამითი გაზეთმა ვითომ ის დაამტკიცა, რომ სერ რობერტ მორიერი ფრიდრიხ მე-III დიდი მეგობარი იყო და, რაკი ამ მეგობრობის გამო იცოდა გერმანიის ჯარის ამბავი, შეატყობინა კიდეც მტერს, მარშალს ბაზენსაო. მაშასადამე, ბისმარკი მართალს ამბობს, როცა ამტკიცებს, რომ ფრიდრიხ მე-III ესი გვერიდებოდა და სახელმწიფო საიდუმლოს ვერ ვანდობდით ხოლმეო. თუ-კი ინგლისელ მეგობართან ვერ დაჰმალა ჩვენის ჯარის მდგომარეობა, სხვა საიდუმლოსაც ვერ დაჰმალავდაო. რაკი ასეთს მდგომარეობაში იყო ფრიდრიხ მე-III გერმანიისა და საფრანგეთის ომის დროს, მაშ საიდამ ეცოდინებოდა ყოველივე ის დაწვრილებული ამბები, რასაც დღიური მოუთხრობს. ცხადია, რომ ეგ დღიური ყალბია და მხოლოდ ამ ბოლოს დროს არის შედგენილიო.

მაგრამ ბისმარკის ამ გვარმა ხრიკმაც არ გასჭრა. ის მძიმე ბრალი, რომელიც სერ რობერტ მორიერს დასდევს, დიდად იწყინა თავ-მომწონე ინგლისელმა და დაამტკიცა, რომ ყოველივე მის შესახებ „Kolnische Zeitung“-ის მიერ გამოცხადებული საზიზღარი სიცრუეა და სულ მდაბალის განზრახვით მოგონილი ტყუილიო. მორიერმა მისწერა წიგნი მარშალს ბაზენს მადრიდში, როცა მარშალი ჯერ ისევ ცოცხალი იყო, და მოსთხოვა პასუხი: მართალია, ვითომ თქვენ გიბრძანებიათ გერმანიის მადრიდელ ელჩისათვის, რომ მე შეგატყობინეთ, როცა მეცთან იდექით, სად იდგა და საით აპირობდა წასვლას გერმანიის მხედრობაო? მარშალმა ბაზენმა მოსწერა წერილი მორიერს, რომ მე მაგის შესახებ აქაურ გერმანელის ელჩისათვის არაფერი არ მითქვამს და ვერც არას ვეტყოდი, რადგან არა ვიცოდი-რა შენგან მაგ საქმის გამოვო. აი ამ წერილით აღიჭურვა ჯერ რობერტ მორიერი და მიჰმართა წერილით პირდაპირ ჰერბერტ ბისმარკს, კანცლერის შვილს, რომელიც ავრცელებდა თურმე ამავე ხმას ინგლისელთა შორის. ჰერბერტ ბისმარკმა მორიერის წერილი იწყინა და საჭირო პასუხი არ აღირსა. ამის გამო მორიერი ადგა და თავისი მიწერ-მოწერა ბაზენთანაცა და მასთანაც დაჰბეჭდა ინგლისის გაზეთებში. მორიერი ინგლისელების ელჩია დღეს პეტერბურგში. მიწერ-მოწერის გამო დიდი ამბავია ამ ჟამად გაზეთებში. ამბობენ, რომ ეს გარემოება ძალიან დააშორებს და გააგულგრილებს ერთმანეთში ინგლისისა და გერმანიის მთავრობასაო.

წვრილი ამბები

ემილ ზოლას დაუწერია პაწია აღწერა განდიდებულ სნეულებასავით გავრცელებულის თავის მკვლელობისა პარიჟში. ეს აღწერა მოგვყავს მთლად:

პარიჟს თავისი ტრაგიკული წყლული აქვს. ეს წყლული თავის მკვლელობა და საზოგადოდ მკვლელობაა, რომელიც მეტად არის გავრცელებული საეჭვო უბნებში.

არასოდეს სიცოცხლე ისე სამძიმო ტვირთი არა ყოფილა ადამიანისათვის, როგორც ეხლა არის. დიდთა სოციალურ ცვლილებათა შემდეგ არა ერთხელ უჩვენია თავი კაცთა ძლებას ცხოვრების მიმართ, სურვილს, რომ სამარისებურის ძილით მიიძინონ და განშორდნენ ყოველსავეს ამ ქვეყნიურს. ეს რაღაც მოარული სენია, რომელსაც თან სიკვდილი დააქვს. ეს მოარული სენი თავის მოკვლისა ჟამსავით ვრცელდება და არ იციან-კი სათავე და დასასრული სადა აქვს, საიდგან მომდინარეობს. პარიჟში ხშირად ისეთი დღე გამოერევა ხოლმე, რომ ათი კაცი იკლავს თავს; ორთა შუა რიცხვით დღეში ორი და სამი მაინც იპოვება ამისთანა. ამ ქალაქს უწერის ბედად ამ საშინელის სენის ნიშანი: უზრუნველი და დარდიმანდი ცხოვრება მკვიდრთა, დაფარული ტანჯვა და გვემა, ერთი ალიაქოთი და ღრიანცელი, რო-

---

რა უკაკუნებდა, რომ მიკვირდა, — დედაჩემი ამოდენაა და არ შეუძლიან ეგრე ტყის გახმაურება, როგორც ამ პატარა ჩიტს-მეთქი! უვლიდა გარშემო ხეს ფეხების ფხაკუნით და ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას ჩაჰკრავდა ნისკარტს... კოდალას ცელქობას მე სიხარულით შევყურებდი. უცებ «ჩხი!», «ჩხი!» მომესმა. მოვიხედე გვერდზე: თავზედ ერთი ჩხიკვი გვევლებოდა „თავი მომაფარეო, — მითხრა დედაჩემმა: — თორემ ჩხიკვი თვალებს დაგთხრისო!..“ მე თავი მოვაფარე. დედაჩემი იგერებდა თავით იმ საძაგელს. ჩხიკვი ჩემკენ იწევდა. ბევრი იცოდვილა, მერე დაგვანება თავი, თავ-მოკატუნებული წიფლის ტოტზე შესკუპდა და მოჰყვა კნავილს. მისი ხმა სწორედ ჩემს ხმასა ჰგავნდა. დედას გაეცინა და მითხრა:

— დიდი ეშმაკი რამეა, შვილო, ეგ ჩხიკვი, გაუფრთხილდი!.. შენისთანა პატარა ნუკრებს ძლიერ ემტერება, შვილო... კრუსუნსა და კნავილს მოჰყვება და ახლო-მახლო რომ შენისთანა ბრიყვი და გამოუცდელი ნუკრი შეხვდეს, ბანს მისცემს, გადაეძრახნება. მაგასაც ის უნდა: მიახტება და თვალებს გამოსჩიჩქნის!..

მე ტანში ჟრუანტელმა გამიარა...

— ხმასაც არ გავცემ, დავემალები მაშინათვე!

— ჰო, ეგრე, ეგრე, შვილო! მანამ დედა ცოცხალი გყავს, ნუ შეგეშინდება, როცა მე აღარ გეყოლები, მაშინ სიფრთხილე გმართებს!

— ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდევ მე საცოდავსა!..

III

ერთხელ ძლიერ დაცხა. დედაჩემი საწოლიდამ ადგა და მითხრა, წყალზე წავიდეთო. წავედით, დავყევით წვრილიანს სერს, ჩავიარეთ შამბზე და ჩავედით ხევში. ხევი ღრმა იყო, მზის სხივები ვერ ჩასწვდომოდა, აქეთ-იქით ნაპირებზე ხეები ერთმანეთზე გადაკვანძულიყო წვერებით. ხის ძირებზე, იქვე ხევის პირად, ქოლის ფეხები იყო ამოსული, წითლად თავი დაეხარათ და გადმოჰყურებდნენ წყლის დენას. ცივი ანკარა ხევი მოჩუხჩუხებდა გალიპულს ქვებზე, ერთის კლდიდამ მეორეზე გადადიოდა და გუბდებოდა. დედაჩემი მივიდა და ჩადგა შიგ გუბეში. მე ძლივს დავდიოდი ქვებზე, ჩლიქები მტკიოდა.

— მოდი, შვილო, ჩადექ წყალში, საამურია სიცხეში წყალში დგომა.

მე მივედი და კრძალვით ჩავსდგი ჯერ ერთი ფეხი; წყალი საშინლად ცივი იყო და გადმოვხტი ისევ უკან.

— ცივია, არ შემიძლიან დგომა.

— არაფერი გიშავს, უნდა ეხლავე შეეჩვიო, შვილო! ცოტა ხანი დავდექით წყალში და მერე გამოვბრუნდით უკან. ჩვენს ზევით ნაკაფიანებში ხმაურობა ისმოდა.

— ეგ საშიში ხალხი არ არის, მითხრა დედამ: ერთი დედაკაცი და პატარა ბალღია. ჩვენი მტერი ეგრე არა ჰყვირის. ჩვენ მაინც სიფრთხილე გვმართებს: ესე წვრილიანზე ავიაროთ, ველის პირად ნუ გამოვჩნდებით, ნუ დავენახვებით. დედაჩემი წინ წავიდა. მე გულმა არ მომითმინა და გავხედე; ტანი დავმალე, მხოლოდ თავი გამოვაჩინე. ამ დროს ქვევიდამ ხმა მომესმა: «ვაი, ვაი, დედილო, მგელი, დედილოჯან, მგელი!»

— ნუ გეშინიან შვილო, გენაცვალე, აბა სად არის დამანახვეო? ჰკითხავდა დედა. — აგე ყურები არ გადმოუცქვეტია, ადამიანო, ტყიდამ! თვალცრემლიანი უჩვენებდა ბავშვი თითით ჩემზე.

— უი, შენ-კი გენაცვალოს დედა, მგელი კი არ არის, შვლის ნუკრია, შვილო! ქა, რა ლამაზია!

— დავიჭიროთ, შენი ჭირიმე, ეუბნებოდა პატარა დედას და თან მოუთმენლად ემზადებოდა ჩემკენ გამოსაქცევად.

— არა, გენაცვალოს დედა, ცოდოა, შვილო, როგორ იქნება, განა მაგას არა ჰყავს დედა. ხომ უნდა იტიროს იმან თავისს შვილზედ!

მე სულ-განაბული ყურს ვუგდებდი და მიამა, რომ გავიგონე ერთად-ერთი სიტყვა ჩვენის შებრალებისა. მე კიდევ მინდოდა ყური მეგდო, მაგრამ დედაჩემი დაბრუნებულიყო, მოირბინა და მითხრა:

— ჰაი, შე ბრიყვო, გჯერა, რასაც ეგენი ამბობენ?! რას უყურებ იქა? წავიდეთ ჩქარა, მომყე! ეგენი წავლენ, ასწავლიან მონადირეს ჩვენს ბინას და გამოგვასალმებინებენ სიცოცხლეს. საბრალო დედაჩემი მაინც წინადვე ჰგრძნობდა, რომ ისე იქნებოდა.

IV

შევკუნტრუშდა დედაჩემი, შევკუნტრუშდი მეც და გავწიეთ ზევითკენ სკუპ-სკუპით. სულ ბოლო დროს მხოლოდ ეს-ღა გავიგონე: „უი, დედაც იქა ჰყოლიაო!“

ჩვენ შევუდგეთ შამბიანს, ბუერიანს გვერდობას. ბუერის ძირები ცივის წყაროებით იყო მორწყული. აქა-იქ ლაფზე ეტყობოდა ჩემსავე პატარა ნუკრის ნაფეხურები. საშინლად ცხელოდა. ვსწუხდით: დავწექით ბუერებში, იმისი განიერი ფოთლები არ გვაკარებდნენ მწვავე მზის სხივებს.

უცებ გრეშემო შემორტყმულ მთების წვერებიდამ ამოცვივდნენ ღრუბლები, შეიყარნენ ერთად. ცამ დაიგრიალა, იჭექა, ელვა გაიკლაკნა.

წვიმა სვეტ-სვეტად ჩამოდგა გაღმა სერებზე, მალე ჩვენს გარშემოც ხის ფოთლებსა და ნამეტნავად ბუერებზე დაიწყო ტყლაშა-ტყლუში. ისეთი ხმაურობა დადგა, თითქოს ტყე და მთა-ბარი იქცეოდა. ყველა სულდგმულმა ხმა გაკმინდა: ჩიტები ვეღარ ჰბედავდნენ ჭიკჭიკს, ცელქობას... საძაგელი ჩხიკვი, რომელიც ისე მაშინებდა წინად, ეხლა სრულებით არ მეჩვენა ისე საზარელი; ის დამჯდარიყო წიფლის შიშველაზე, მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდამ ცინგლი ჩამოსდიოდა. მხრები საცოდავად ჩამოეშვა. იმის ახლოს იჯდა გულ-წითელი ჩიტი, „წიფლის ჩიტა“, უწყინარი, უენებელი, ლაზუა. მშვენიერიად მიეხუჭა თვალები! მოფრინდა „წიპრანა“ და „წრიპ, წრიპ!“ შესძახა. ჩხიკვს შეეშინდა, გაახილა თვალები, გაუსქდა გული, მიასქდა ხან იქით, ხან აქეთ, უშნოდ „ჩხიი, ჩხის!“ ძახილით. მე გამეცინა. წინად ყველაზედ ღონიერი ის მეგონა, ეხლა კი გავიგე, რაც შვილი ბრძანებულა. გადაიქუხა. ჩიტებმა მორთეს ერთ-ხმად სიმღერა. ბალახებ-

მელიც ქვითინსა და მწუხარებას მნელად გაავონებს ხოლმე თვალ-ყურის მდევნელს. ისინი, რომელთაც სასო წარკვეთიათ, მოდიან აქ თავის მოსაკვლელად, თითქო პარიჟი დიდი ოკეანე იყოსო. ვიმეორებ, არასოდეს ეს მოარული თავის მკვლელობა ისე არა ყოფილა გამძვინვარებული, როგორც ეხლაა.

ადამიანნი ხიდიდგან წყალში სცვივიან სიღარიბისა და სიგიჟისაგან. იმათს გვამს სენაში ნავებით იჭერენ. მეორენი თოკს არჩევენ; ზოგნი ჭვალავთა ახლომახლო იჩხობენ თავს, უმეტესობა-კი არ არჩევს და პირველსავე მოხერხებულს ადგილზედ ეკონწიალება. დარჩობილებს ჰპოულობენ კარებს უკან, ბანებს ქვეშ, დერეფნებში. ამას წინად ერთი კაცი იპოვნეს, რომელიც თავისს სოროში, მეხუთე სართულზედ, ასასვლელად აღარ გარჯილიყო და იქვე კიბის მოაჯირზე ჩამოერჩო თავი. თავის მოწამლვა უფრო იშვიათია. მხოლოდ დედაკაცები სჭამენ ან თრიაქსა და ან გალესილს, წყალში გახსნილს წუმწუმას. ეს საშუალება ხშირად არასა ჰშველის. ქალები აგრეთვე მარღვებს იხსნიან თბილს წყალში და ნელ-ნელა ესალმებიან სიცოცხლეს. წარსულს კვირას ერთმა თექვსმეტის წლის ყმაწვილმა ქალმა მოიწადინა ამ გვარად მოკვლა თავისა უნუგეშო სიყვარულის გამო. მაყალი გაღვივებულის ნახშირით, ეს იაფი და ადვილად საშოვნელი საშუალება თავის მოკვლისა, უფრო ღარიბებისათვის არის. როცა სელოსანის სახლიდგან ნახშირის სუნი გამოდის, მაშინვე წამოიძახებენ ხოლმე: „იქ ვიღაცა კვდებაო!“ გასტეხენ ხოლმე კარებს და ხშირად გადაარჩენენ სიკვდილს საწოლზე მისვენებულს უმწეოსა და ღარიბს კაცს. დანით იშვიათად იჭრიან ყელს: დიდი გაბედულობა და მამაცობა უნდა, რომ კაცმა მჭრელი მახვილი დაიკრას. დამბაჩა უფრო სახერხოა: გამოსწიე თითი და გათავდა. ამასთანავე თუ პირველმა ტყვიამ უმტყუნა, სხვაც არის განზრახვის განსასრულებლად. მეგლებსაც თავი დაანებეს. მთელს წელიწადში იშვიათად მოიპოვნება ერთი, ან ორი ადამიანი, რომ მდინარეს გადაუშვას Notre Dame-ს ტაძრის სიმაღლიდგან და ან ვანდომის სვეტიდგან. მშვენიერება კია ასე თავის მოკვლა, იმ სიმაღლიდგან გადმოფრენა, მიწას დაშვება! ამ დროს თავს ზრუ ესხმის ადამიანს და უეცრად სააქაოდგან საიქიოს ამოჰყოფს თავს.

მთელის რვა დღის განმავლობაში დეკანკაცი ხელ-საქმეს, სამუშაოს ეძებდა, შემდეგ ერთი წრუპა ნახშირი აიღო ნისიად და გააღვია. დაწვა ლოგინზედ, გულზედ მიისვენა და მიიხუტა ორი თეთრ-ყირმიზი გოგონა,—და სამი გვამი იპოვნეს, გადახვეულნი, გადურჯებულნი, გათიხნებულნი. ორმა ოთხმოცის წლის მოხუცმა, ცოლმა და ქმარმა, რადაზედაც იმედი გადიწყვიტეს და სიკვდილს აღარ დაელოდნენ; სწქაროდნენ, უნდოდათ მალე მისულიყვნენ იმ ქვეყანას და საშინლად დაისახჩრეს თავი სამართებლებით. როცა კაცი სრულს ღონეზეა, მარღვებში სისხლი უდუღს, გულის მგერას ისმოს და სიკვდილს ამჯობინებს,—ეს კიდევ არაფერი. ხოლო მოხუცის, ცალის ფეხით სამარეში მყოფის მალად სიკვდილი კი ადამიანს აღშფოთებს. ჰკითხულობთ: რა ეჩქარებოდა, როცა ცხოვრების გზა გავლო და ცოტაოდე მოთმინება-და იყო საჭირო, რომ ბოლოს მოჰკვდომოდინებოდაო? ამაზედ საშწუხარო და სავალალო კიდევ უფრო სხვაა — ბავშვის სიკვდილი დაუსრულებელის მწუხარებით გვავსებს და გვქანჯავს გულს. მთელი ტანჯვა-წვალება დედისა უნდა გამოვლილს, რომ ყმაწვილმა სიკვდილი მოიწადინოს. მოდი და ნუ წარმოიდგენ საშინელს ტანჯვას ბავშვის გულისა და გონებისას, რომელიც იმ აზრს დასდგომია, რომ სიცოცხლე ნაღდად არა ღირსო.

აი აქ არის დაკარგული იმედი, ფესვ-შივე მოკვეთილი ხე, უარ-ყოფილება და შეძაგვა სიცოცხლისა. ამ სენმა ბავშვებსაც მიაწვდინა ხელი. ათის წლის ყმაწვილმა დაარჩო წყალში თავი, რადგან ოსტატმა გაისტუმრა, დაითხოვა ადგილიდგან და მშობლებთან დაბრუნებისა ეშინიან, ცემა-ტყეპას მოელის. მეორემ იმიტომ დაარჩო თოკით თავი, რომ იმისი და იმაზედ მეტად უყვარდათ მშობლებს. დასასრულ, თორმეტის წლის სასწავლებლის მოწაფემ მარჯვნად შეკრული თოკი ჩამოიცო კისერზედ და არავინ იცის რად. იქნება ამ უკანასკნელმა იმიტომ მოისპო სიცოცხლე, რომ ფილოსოფიურის მსჯელობით გადასწყვიტა: ამ ქვეყნად ცხოვრება მეტად მოწყენილი და უქმიაო!

რა შესაბრალისი ფასისაა სიცოცხლე! ყველა როგორ დასთრევს ამ კონკს! ყმაწვილებიც-კი ფეხსა ჰკრავენ! ყმაწვილები თავს იკლავენ, უარ-ჰყოფენ სიცოცხლის სიხარულს, არ უნდათ გაიცნონ ცხოვრება. მოხუცნი ჰნანობენ, რომ სცოცხლობდნენ და კიდევ სიცოცხლეს უფრთხიან. სხვათ სიცოცხლე, სასაფლაოზე საუკუნო ძილს ესწრაფვიან, თუმცა ქვეყნად მზე ათბობს და ანათებს. ამასთან სხვისის სისხლში ასვრიან ხელებს. თავისს თავს იკლავენ, ჰკლავენ სხვებსაც. ზოგიერთებს თითონვე უნდათ სიკვდილი; მეორენი შიშით ჰკანკალებენ, როცა მკვლელის დანა დაემუქრებათ, და ყველანი-კი პარიჟის მორგის ცივს ქვებზედ წვებიან. სისხლი იღვრება იმათიც, ვინც მრწოლვით ეთხოვება სიცოცხლეს, და იმათიც, ვისაც სიკვდილი უხარის, ამ ქვეყნიურის ტანჯვის ხსნა ჰგონია.

შავს ლაქასა სტოვებს ეს სისხლი პარიჟში.

დეპეშა

3 იანვარი

პეტერბურგი. გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა სახელმწიფო რკინის გზის სადგურებზე ცალკე სახლები დამართოს პურისათვის.

დირექტორი ყაზანის სათემო საავადმყოფოსი, მკურნალი რაგოზინი, დანიშნულ იქმნა სამკურნალო დეპარტამენტის დირექტორის თანაშემწეობის აღმასრულებლად.

მოსკოვი. „Русскій Архивъ“-ის იანვრის წიგნში იბეჭდება პატრიოტული წერილები ვ. ა. კოკორევისა. კოკორევი ამბობს, რომ უნდა საუკუნოდ ვყოთ ხსენება სამეფო სახლეულობის სასწაულებრივის გადარჩენისა 17 ოქტომბერს 1888 წლისას ერის ისტორიაში. შემდეგს ნომრებში იქნება დაბეჭდილი წერილები ამ სასწაულებრივის შემთხვევის გამო.

პარიჟი. მთელი სამღვდელოება პარიჟისა ბულანჟეს მომხრეობასა ჰქადაგებს.

სოფია. სინოდის კრება ძალით იქმნა დაშლილი და წევრნი მისნი ჟანდარმებით გაჰგზავნეს თავ-თავიანთს ეპარქიაში. პრინცი კობურგისა წინად-ვე გაჯავრებული იყო იმათზე, რადგან არ წარსდგნენ მის წინაშე, იმიტომ-რომ პრინცი კათოლიკობის ქადაგებას ხელს უწყობსო. შემდეგ შობა დღეს წირვაზე, რომელსაც დაესწრო პრინცი, უმაღლესმა სამღვდელოებამ მონაწილეობა არ მიიღო მღვდელ-მოქმედების დროს. მაშინ-კი გარდაწყვეტილ იქმნა ეპარქიებში დაეგზავნათ ეპისკოპოსები. ნაშუაღამევის 3 საათზე შეიარაღებული ჟანდარმები შეუცვივდნენ ეპისკოპოსებს სახლებში, შეიპყრეს, ჩასხეს ეტლებში და გააქანეს ქალაქიდამ. ხალხი მეტისმეტად აღელვებულია.

რომი. 5 იანვარს პორტ-საიდიდამ წამოსული რუსეთის მისსია აშინოვის მოთავეობით გაემართა ოვოკისკენ. ყველა ნავთ-სადგურებში მისსიას საფრანგეთის ეგზნი მიეგებნენ და სალამი მიუძღვნეს.

4 იანვარი

პეტერბურგი. ჩვეულებრივს სახელმწიფო შემოსავალს 1889 წელს შარშანდელთან შედარებით მეტს მოელიან 9 362,929 მანეთით. შემოსავლის მომატებას მოელიან შემდეგის წყაროებიდგან: საადგილ-მამულო და სატყეო გადასახადიდგან—137,136 მან., სავაჭრო გადასახადიდგან—1.988,000 მან., კაპიტალების გადასახადიდგან—212,000 მან სასმელების ბაჟისაგან—4.790,800 მან., ნავთის ზეთის ბაჟისაგან—3 021,000 მან. წუმწუმის ბაჟისაგან—2 029,000 მან სამოსამართლო და საკანცელიარიო გადასახადიდგან—246,000 მან პასპორტებიდგან—205,000 მან. დაზღვეულ მამულებიდგან—170,000 მან. სხვა და-სხვა ბაჟისაგან—463,061 მან., ფოსტისა—2.126,500 მან., ტელეგრაფისა—366,000 მან. კიდევ სხვადასხვა წყაროდგან—596,231 მ. ტყიდგან—767,622 მ. სამთო ქარხნებიდგან—707,200 მან. რკინის გზებიდგან—3.750,192 მან. სხვა-და სხვა სახელმწიფო მასალის გაყიდვისაგან—192,036 მან., სახელმწიფო კაპიტალისტებისა და ბანკებისაგან—1.485,459 მან., სესხის დატრიალებისაგან—929,779 მან., იმ შესაწევრიდგან, რომელიც ხაზ ნას მიეცემა ქალაქებისაგან—366,254 მ. ამას გარდა შემოსავლის მომატებას მოელიან: შაქრის აქციზიდგან—28,000 მან., ფულისა—48,952 მ., სახელმწიფო უძრავ მამულების გასყიდვისაგან—58,068 მან., სახელმწიფო გლეხების ნასყიდობის მოწმობისა—47,071 მან., სახელმწიფო სასწავლებელთა მოწაფეთაგან—27,676 მან., ჯარიმისა—34,266 მან. ჩვეულებრივის შემოსავლის შემცირებას მოელიან თამბაქოს აქციზში—423,000 მან., დამოქნის ბაჟისა—3,570,500 მან., სამთო გადასახადისა—193,200 მან, საბატონო გლეხების ნასყიდობის მოწმობისა—671,962 მან., სავალდებულო გადასახადი რკინის გზებისა—5.888,426 მან., სხვა-და-სხვა შემოსავლის შემცირებისაგან—4.585,484 მან. ჩვეულებრივი ხარჯი რკინის გზებისათვის გადადებულია 1889 წელს სამარა-უფა-ზლატოუსტისა, პსკოვ-რიგისა, რჟევო ვიაზემისა, სურამის უღელტეხილისა და კასპიის იქითა მხრის რკინის გზისათვის (უზუნ-ადადგან მდ. ამუ-დარიამდე); ახალის გზების გასაყვანად, კერძო რკინის გზების შესასყიდად და ნავთსადგურების გასამართავად. უქვეშევრდომილესს მოხსენებაში ფინანსთა მინისტრი ამბობს: როცა გამოვიდა ხარჯთაღრიცხვა 1888 წლისა, ზოგი ფიქრობდა, რომ იგი ისე არ არის შედ

მა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა. დედაჩემს ნაწვიმზე სიარული უყვარდა... წავიდოდა ველად და მეც თან გამიყოლიებდა. ეხლაც წავედით, შევუდექით ველის პირებს, გავსწიეთ მთისკენ. ტკბილი ხმა ისმოდა სალამურისა. მთის ძირზე გაშლილიყო ცხვარი და ტკბილად სძოვდა ახლად დანამულს ბალახს. მზე გორის პირას იყო ჩამალული ნახევრამდე. იმისი მკრთალი სხივები მხოლოდ მთებისა და ტყის წვერებს ეთხოვებოდა.

გორის პირაზე ზევით მხრივ იჯდა ნაბად-წამოხვეული მეცხვარე და შეექცეოდა სალამურს. იმის გვერდით წამოყუნტებულიყო ბანჯგვლიანი, საზარელი შესახედავი ძაღლი; ის ცოცხლად აყოლებდა თვალებს ცხვრის ფარას და ხანდახან აჩერდებოდა ალერსიანად თავისს პატრონს.

— ცუდს ადგილას მოვედითო,— მითხრა დედაჩემმა:—მეცხვარე უიარაღოა, იმისი ნუ შეგეშინდება, მაგრამ ის ძაღლი დაიყრის ჩვენს სულს და იქნება გამოგვეკიდოსო. მობრუნდი უკან. თვალი გეჭიროს: თუ ჩვენკენ გამოიქცა, მე დავენახვები და შენ ბალახებში ჩაიმალეო. ჩვენს დანახვაზე ცხვარი წაფრთხა და დაიწყო ჩვენკენ ყურება. მე ხშირისა და დაბერებულის არჯაკელის ვროვაში ჩავიმალე და არ ვაშორებდი თვალს იმ კუდ-ბუთქვა ძაღლს.. ცხვრის დაფრთხობა და ძაღლის წკმუტუნი ერთი იყო. იმან ყურები სცქვიტა და გამოექან ჩემკენ...

მეცხვარემ დაგვცა კივილი. მე ავკანკალდი. დედაჩემს შეასწრო თვალი და გაექანა იმისკენ. დედაჩემი გასრიალდა და ერთს წამს დამეკარგა თვალიდამ. ცრემლი მომერია, გული მომიკვდა: ვაიმე, დედავ, თუ დაგიჭეროს მაგ წყეულმა! დიდი ხანი მესმოდა ბრაგა-ბრუკი და ხევიდამ ქვების ჩხრიალი.

ვაიმე, თუ დაიჭირა დედაჩემი და თავისის ალმასის კბილებით სწეწს! დაბინდდა. მეცხვარემ მოუსტვინა ცხვარს და შეაყოლა ბინისაკენ. გულის ფანცქალით ვადევნებდი თვალს იმის მოძრაობას. საწყალს ცხვრებს სცემდა ზოგს დიდის კომბლით და ზოგს ქვებს ესროდა. ერთს პატარა ჩემოდენა ბატკანს მიარტყა ქვა, საბრალო წაიქცა და საცოდავად დაიწყო ფეხების ქნევა. მეცხვარე ავიდა ზევით და დაუწყო ძახილი „ყურშიას“. ცოტა ხანს შემდეგ, ცის ტატანზე *), დავინახე, რომ იმისი ყურშია წითელენა გადმოგდებული ედგა პატრონს გვერდით.

*) ჰორიზონტს ეძახის ხალხი.

— მე მეშინოდა: ვინ იცის, ჩემის დედის სისხლით აქვს-მეთქი გამურული ლაშ-პირი. დაბნელდა, დაუკუნეთდა. ხმაურობა აღარსაიდამ ისმოდა. რა იქნა დედაჩემი? იქნება ვეღარ მიპოვნოს, თუ ცოცხალია?!

ცოტა ხანს შემდეგ ხავილი შემომესმა. დედიჩემის ხმასა ჰგვანდა. მეც გავეხმაურე. საბრალო აფორთქლებული მოიჭრა ჩემთან.

— აქა ხარ, შვილო? ნუ გეშინიან, შენი დედა ცოცხალია. ძაღლი და მგელი ვერაფერს დააკლებენ... ცოცხალი ხარო?—მკითხავდა.

— ცოცხალი ვარ, ვუპასუხე მე.

მიალერსა დედამ. ნეტა ვის შევტირო, ვის შევეხვეწო, ვინ არის ისეთი ძალუმი, რომ დედიჩემის თვალებში კიდევ ჩავხედო, დავსტკბე იმისის ალერსით!

როგორ უნდა მოვინელო ეს ჯავრი? ნეტა სისხლის მსმელს მტერს მეც მოეკალი! რისთვის დავრჩი მე ცოცხალი?

წინა დღეს ცოცხალს, მშვენებით სავსეს ჩემს ნუგეშს შევსტრფოდი და რა მომაგონებდა, თუ მეორე დღეს დამეკარგებოდა სამუდამოდ.

V

მთელი ღამე დაველოდეთ ველზე. აღარ გვეშინოდა; გავედით სვილში და ტკბილად შევექცეოდით. თენება დაიწყო, მივიქეცით ტყეში. წყეული იყოს იმ დღის გათენება! ველზედ სქლად იწვა ბალახი. ველში იდგა ორი სამი ძირი ბალი, ჯგუფ-ჯგუფად ეხვეოდა ჩიტები, შაშვები; ჟივილ-ხივილი ისმოდა; ზოგნი მოდიოდნენ და ზოგნი მიდიოდნენ, მიეზიდებოდნენ შვილებისთვის საზრდოს. დედამ გამაფრთხილა და მითხრა: საშიშია ამ დროს სიარული, ჩვენი მტერი ნაწვიმზე დაგვეძებს, აქეთ-იქით თვალი გეჭიროსო.

ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება დედიჩემისაგან. დედაჩემი სწუხდა, თითქოს სიკვდილსა ჰგრძნობდა. მოჰკვნეტდა ერთს ფოთოლს და გაუყურდებოდა.

ჩვენს ზევით იყო დგნალები ერთმანეთზე მიწყობით ამოსული. იმათ წინ იდგა სამი თუ ოთხი შეკუმშული და აწურწუტებული არყი.

უცებ, როგორც ცის ჭექამ, იგრიალა თოფმა. იმის ხმამ დაიარა მთები და კლდეები, ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს. ბოლი გაერთხა ნამიანს ბალახზე. დედაჩემმა ერთი-კი ამოიკვნესა და წაიქცა. ვაიმე! მე იქვე გავისხიპე. დედაჩემი მიგორავდა, ვხედავდი, თავქვე და სისხლიანს კვალს სტოვებდა ბალახზე. არყების უკანიდამ გამოხტა ახალგაზდა ბიჭი ლევა, ჩოხის კალთები აეკეცათა, „გაუმარჯოსო“ დაიძახა და სასწრაფოს წკრიალით გამოეკიდა დედაჩემს უკან. საწყალი დედაჩემი სცდილობდა ადგომას, წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ ისევ ჩაიხვეოდა მუხლებში, დაეცემოდა და გაგორდებოდა. მემოვკვდი, ტანში დავიშალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოიძრო პრიალა ხანჯალი და გამოუსო დედას ყელში. სისხლმა იფეთქა და გადაეფრქვია ხეებზე. ვაჰმე! სულ ცხადად ვხედავდი, მაგრამ რითი უშველიდი მე საცოდავი. აგერ ძუძუებზე, იმ ძუძუებზედ, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსო ხანჯალი და გამოუშხა. შეიდო კისერზედ და გასწია. მე დავიწყე ტირილი. გული შემიწუხდა. მას აქეთ ცოცხალ-მკვდარი ვარ; ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში; დავდივარ და შევსტირი ხეებს, მთასა და კლდეებს, დავსტირი წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის დედა არა ჩნდება. დედაჩემს ველარა ვხედავ, ვარ ობოლი და ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს?!

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენილი, როგორც რიგიანა; რომ შემოსავალი აღნიშნულზე ნაკლები შემოვიდა და ხარჯი დანიშნულზე მეტი იქნებოდა. გარემოებამ-კი სულ სხვა დაამტკიცა. შემომავალი 1888-ს წლისა არამც თუ აღნიშნულზე ნაკლები გამოდგა, არამედ მეტიც იყო. 1889-ს წლის შემოსავალი ისეთის წინადახედულობით არის ნაანგარიშევი, რომ იგი ძალიან ადვილად მოსალოდნელია. ხარჯის შესახებ მინისტრი ამბობს: მისის უდიდებულესობის სურვილია მის შესახებ, რომ არაეთარი ხარჯი არ იყოს, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვაში ნაჩვენები არ არსოო. ამისი მიზეზი ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკა არისო და ის, რომ მოსალოდნელიც არ არის უსიამოვნება და შეტაკება უცხო სახელმწიფოებთან. არა ჩვეულებრივის ბიუჯეტის მიზეზად მინისტრი ასახელებს იმას, რომ საჭიროა ზოგიერთ რკინის გზებისა და ნავთ-სადგურების დმთავრება და განკარგება. ზოგის აზრით, ამ საგნისათვის არაეთარი ღონე არ უნდა დაეზოგოთო და სესხსაც არ უნდა შეეუშინდეთო, მაგრამ სესხი მძიმე ტვირთია ხაზინისა და ერისათვის, ამიტომაც სესხი საჭირო არ არის და უნდა ეჯერდებოდეთ იმ სა შუალებას, რომელიც ხელთა გვაქვსო. კურსის შესახებ მინისტრი ამბობს, რომ კურსის დაცემა 1888 წლის დასაწყისში უცხო სახელმწიფოთა და განსაკუთრებით გერმანიის მწერლობის ბრალია, რომელიც მტრულის თვალით გეიყურებსო, და საბირჟო სპეკულიაციისაო. ერთი ნაწილი რუსეთის ქაღალდებისა, რომელიც გერმანიაში გაიყიდა, ჰოლანდიასა და საფრანგეთში გაიტანეს, საცა უკეთესად გიგეს რუსეთის ეკონომიური მდგომარეობაო. მოხსენების დასასრულს მინისტრი ამბობს, რომ რუსეთს შეუძლიან მიეგებოს ახალს წელიწადს უკეთესის მერმისის იმედითაო.

პარიზი. პალატის კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს კონსტიტუცია გადასინჯოს, გადასწყვეტა, რომ კონსტიტუცია უნდა განიხილოს საკანონმდებლო კრებამ და იმისი დადგენილება თვით ერმა უნდა დაამტკიცოსო.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ივნვარი.

	ფასდებული	ეკეთილი	ეკეთილი
	ს.	ს.	ფასდებული ს.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	— „	— „	7 51
ტამოჟნის კუპონები .	— „	— „	150½
მანეთიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 13
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	267½
—მეორისა	— „	— „	245½
გრანგნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ნეფაილის ბანკისა . . .	— „	— „	— „
ტფილისის საერთაშორო ნდობის საზო გადოებისა	— „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდან 7397.

ქველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიგონი—უსა=481 წელი. დიაწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიგონი მე=45 წელიწადია. დიაწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადგილია—6.

ივნვარი 31 დღით არის.

5 დღე ხუთშაბათი. მოწ. ფიროფეტენი და ეგ. ნიკოდიმენი. მარტვა. კეთილ. წმ. ევმილიანენი. სომეს. სტეფანი და ნავაკეტიკა. მაჰმად. მე-16 რიცხვი თვისა ჯამად-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ქეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 7—24, ჩადის 4—56. მთვარე 16 დღისა.

6 დღე პარასკევი. ნათლის-ღება იესო ქრისტესი. კეთილ. იგივე. სომეს. იგივე. სალამაზედ ნახატნანი. მაჰმად. მე-17 რიცხვი თვისა ჯამად-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ქეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 7—24, ჩადის 4—57. მთვარე 17 დღისა.

7 დღე შაბათი. კრება წმინდა წინამორბედისა და ნათლის-მცემლის იოანესი. კეთილ. წმ. იულიანესი. სომეს. მიცვალებულთა მოსსენების დღე—მერელოები. სალამაზედ ნახატნანი. მაჰმად. მე-18 რიცხვი თვისა ჯამად-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ქეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—58. მთვარე 18 დღისა.

8 დღე კვირა. წმ. აბო ტფილელისა და სხ. კეთილ. აბ. სევერიანისი. მაჰმად. მე-19 რიცხვი თვისა ჯამად-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—გარდაიცვალა ქართლის მეფე თეიმურაზი ასტრახანში, როცა იგი ს. პეტერბურგიდან სქართველოში ბრუნდებოდა. ირაკლი აკიდა ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე, 1762 წ.—ქეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 4—59. მთვარე 19 დღისა.

9 დღე ორშაბათი. წმ. პოლიეკტოსი, წმ. პეტრესი და სხ. კეთილ. წმ. მარკიანისი. სომეს. სალამაზედ ნახატნანი. მაჰმად. მე-20 რიცხვი თვისა ჯამად-ულ-ევველისა, 1306 ჰიჯრისა.—ქეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 5—1. მთვარე 20 დღისა.

ფაფუსადგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 16 იანვრამდე.

თუთრი ბური რუსული 1 ეარ.	5	კაპ.
ბური 1-ის ხარისხისა.	3½	„
„ 2	3	„
თოთრის წითელი ბური 1-ის ხარის.	5	„
„ „ 2—	4	„
„ „ 3 „	3½	„
ჯვარის ბმის ბურის ღერაში		
1-ლის ხარისხისა .	5	„
მე-2 ხარისხისა .	4	„
მე-3 — .	„	„
ძრწოის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8	„
„ 2 „	7	„
ხეკი . . .	14	
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	9	„
ღორის ხორცი . .	9	„
„ 2 „	8	„

მიმოსვლა ფოსტის ფეიგისა შავ ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 სასთზედ მოკლე გზით და ნოეოროსიისკსა და კერჩში შეიკლის.

შაბათობით სადმოს 8 სასთზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურები შეიკლის).

კვირასობით სადმოთი, საზღვარ კარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-დამისს შორის გზით.

პარასკევობით დაღეთ ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოეოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დაღეთ სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის ბური შორის გზით. ხუთშაბათობით—დაღეს 9 სასთზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსაირულე კაკვასიისა და ეირიმის ბეშს.

შაბათობით დაღეს 9 სასთზე და მიასწრობს შორის გზით მოსაირულე კაკვასია-ეირიმისა და რუმეთია-ანტოლიისკენ წასასვლელს ბეშს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობით და კვირასობით. რაკი ბეშ მოკა ფოთიდამ, ბათუმის სასეგნტო გადასწყვეტს სოდმ, რადის წაკა ეგენ.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ეირიმ-კაკვასიისის სხეთ-სადგურიდამ გადასწყვეტილს ბადზე ბეშები.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1881 წლის 17 თებერვალს დამტკიცებულ წესდების მე-15 §-ის ძალითა 4 თებერვალს 1889 წლისას, დილის 12 სასთზედ, ქ. ტფილისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა განუმეორებლად ქვემო ხსენებულის მამულისა, ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახადთ შემოუტანლობის გამო, მე 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

წერეთლისა, ანასტასია დავითის ასულისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამ-განყოფილებიანის სარდაფით და ერთ სართულიანი მიშენებული სარდაფითვე. ზომა მიწისა 330 ოთხ-კუთხიანი საჟენი. ტფილისს, ავლაბრის ქუჩაზედ. თაგნი ეღირა 5281 მან. 98 კაპ. შემოსატანი 267 მან. 58 კაპ. სულ 5549 მან. 56 კაპ.

ვაჭრობა, წესდების მე-18 §-ის ძალით, დაიწყება ზემოხსენებულ ეღირებულ ჯამით, რომელზედაც ზედ მიეკარჩენილი ფული სახელმწიფო და საერო (земскій) გარდასახადისა. თავნის ეღირებულ ბადეწყვეტა შეიძლება ბანკის ვირეოს ფურცლებით მანეთით მანეთზედ; აგრეთვე შეიძლება ბანკის ეღირ გადაიდეს მამულის მყიდველზედ. შემოსატანი ფული და ძველი დარჩენილი (недоимка) უნდა შეეხებულ იქმნას ნაღდის ფულით.

მე-16 §-ის თანხმად, მოვალეს შეუძლიან დარჩენილი ფული სარგებლითა და სხვა ხარჯის შეეხებით შემოიტანოს ერთის დღის წინად ვაჭრობამდე.

Вышла изъ печати и поступила въ продажу

въ Центральной книжной торговлѣ и въ газетномъ агентствѣ кн. Бебутова и К° перепечатанная изъ XI-го тома „Актовъ кавказской археологической комиссіи“ книжка

„ТЕАТРЪ ВЪ ТИФЛИСѢ СЪ 1845—1856 ГОДЪ“

in 8°, 213 ст. Чистый доходъ съ изданія предназначенъ на усиленіе средствъ заведенія св. Нины. Цѣна 1 р. с; на веленевой бумагѣ 1 р. 50 к. с; въ переплетѣ изъ англійскаго коленкора на 50 к. дороже; за пересылку иногороднымъ прилагается 25 к. (5—4)

ფარა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101) ისყიდება ყოველ-კვირა წიგნები, რაც ღღეზედ დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიტანება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ეეთაოულაძე-საკან	„ 40	
გენათის მონასტერი, გამოცემა ბაზმანისა	„ 25	
ბაიბეკონი, რ. ბუნდამისა. .	„ 1	„
საბრალო წელო, ნ. ნიკოდიმისა.	„ 40	
საქართველოს მეფეებზე, გუდამისა შეიდამისა	„ 15	
გუნდიერის მოგზაურობა .	„ 50	
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . .	„ 25	
ხეთი ამბავი, საუბარ-ეედო ამბავი-ფრანგულადამ გადმოდებული ან. თუმანიშვილის მიერ.	„ 15	
ორ-მეტყველება, სასულმძღვანელო გრამატიკისა, ბ. კეცხრიმისა	„ 4	

მომავალ დღეს ხსწავლულებისათვის ასეთადა ქართველ საუკეთესო ლეკიოლეები თავად ილია ბრიგოლრის ძე ჭავჭავაძისა და სხვა ენისა: თუნდა 1 მანეთიდან ეიდრე 4 მანეთამდე და ზოთლი 20 კაპ. ეიდრე 1 მან. 50 კაპეიკამდე.

სარდაფი იმყოფება ელიზავეტინოვის ქუჩაზედ, წინამძღვარიოვის შენობაში, № 1.

(5—5) ს. ი. კეტოდელოვი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ИВЕРІЯ“

1889 წ. 1-ს ივნვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვეით	10 მ.—კ.	6 თვეით	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50„	5 „	5 „ 25„
10 „	8 „ 75„	4 „	4 „ 75„
9 „	8 „ —„	3 „	3 „ 50„
8 „	7 „ 25„	2 „	2 „ 75„
7 „	6 „ 50„	1 „	1 „ 50„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებლთ „ეიერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებნ უნდა დაბარონ ბანკეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკეკეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ეინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათოვ; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეს განმავლობაში დაიკეკეთა ეინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას ეხლოლდ შემდეგს თვეის პირველ დღედამ გაეგზავნება. განცხადებანი მიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სიტყვა უკანასკნელი გვერდი 30 მანეთი, ხოლო პირველ გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დიეჭრს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და სგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ სგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ეეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასბეჭდავ ხელ-ნაწერებისა და წერილებს შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და სადამბამით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფერეღინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1889 ГОДЪ

НА

РУССКІЙ САТИРИЧЕСКІЙ ЛИСТОКЪ

Журналъ художественный, литературный и юмористическій.

Программа журнала:

I. Сатирическая хроника человѣческой жизни и ея явленій, имѣющихъ мѣсто, какъ въ Россіи, такъ и заграницей.—II. Сатирическая литература: повѣсти, разсказы, сцены, пьесы, поэмы, стихотворенія и тому подобное.—III. Московскій листокъ: столичная жизнь и ея новости.—IV. Петербургскій листокъ.—V. Сатирическое обозрѣніе изящныхъ искусствъ: театръ, живопись, музыка и прочее.—VI. Сатирическая критика русской журналистики и литературы: краткіе переводы, рисунки и каррикатуры.—VII. Корреспонденціи и сообщенія. VIII. Смѣсь: шутки въ стихахъ и прозѣ, анекдоты, афоризмы, эпиграммы, пародіи, загадки, ребусы и т. д.—Сатирическіе и юмористическіе рисунки и каррикатуры русскихъ и иностранныхъ художниковъ.—X. Объявленія.

Выходитъ еженедѣльно, въ количествѣ 52 №№ въ годъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на годъ—7 руб., съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи—8 руб., на полгода безъ доставки—4 руб., съ пересылкой и доставкой—5 руб.

Плата за помѣщеніе объявленій за 1 разъ 25 коп. за строчку петита въ одинъ столбецъ. За различныя украшенія и рисунки къ объявленіямъ плата полагается по соглашенію.

Отдѣльные №№ 15 копѣекъ.

Иногородніе подписчики адресуются исключительно въ контору редакціи: Тверской бульваръ, домъ священника Булгакова.

Редакторъ-издатель **Н. Н. Соѣдовъ.**

Дозв. ценз. Тифлисъ 4-го Января 1889 года. სტამბა ე. ვ. მეხრიანისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე